ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5823103

ნომერი: AR1875882

თარიღი : 03.02.2022

გაცემის თარიღი : 25.02.2022

გაცნობის თარიღი : 25.02.2022

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გიორგი ბრწყინვალის ქუჩა, N 54;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ბაღდავაძე პ/ნ 01010009249
- კოსტავას 45

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს ედემი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405098727
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: დავით ბაღდავაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01010009249

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 5785133
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 2.02.2022

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 5475210
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 28.06.2021

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 ივლისის N321 განკარგულების პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, შპს ,,ედემის“ მიერ ამ განკარგულების პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა, ამავე პუნქტში მითითებული მემორანდუმით გათვალისწინებული მიზნით შექმნილ სპეციალურ მიზნობრივ ანგარიშზე, უნდა განახორციელებინა მშენებლობის ნებართვის გაცემამდე. ამასთან, თანხის გადახდის ვადა არ უნდა გადაცდენოდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადას. განკარგულების პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს ამავე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.
წარმოდგენილი ქვითრებით დგინდება, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 ივლისის N321 განკარგულების გამოცემიდან 6 თვის ვადაში სრულად არ მომხდარა განკარგულებით განსაზღვრული თანხის გადახდა, რაც იწვევს განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს 2021 წლის 23 ივლისის N321 განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების საფუძველზე შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის მშენებლობის ნებართვა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.